

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

*2424

აიათოლა ჰავეანი ამერიკის ბრალდებას უარყოფს

A8



ორი ჭილდო Rainbowmaker-ს

A9



კალაძე ძირითადს გამარჯვებით დაუბრუნდა

A13



რუსეთის კლიენტები და დანარჩენი ცივილიზაცია

ნიუ-იორკში სიტყვით გამოსვლამდე მიხეილ სააკაშვილი ჰილარი კლინტონს შეხვდა

დღეს თბილისის დროით დაახლოებით 00:30 საათზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა მოლაპარაკებები დაასრულეს. ნიუ-იორკში გამართულ შეხვედრას საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძეც ესწრებოდა. სასტუმრო "ვორლდ ოვ ასტორიაში" გამართული შეხვედრის დაწყებამდე ჰილარი კლინტონმა და მიხეილ სააკაშვილმა მედიისთვის კომენტარები გააკეთეს. სახელმწიფო მდივანმა კიდევ ერთხელ გამოუცხადა მხარდაჭერა საქართველოს.

დათო ბაჩისონია

"მინდა მივსაღებო ჩვენს ძალიან კარგ მეგობრებს იმ ქვეყნიდან, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის კუთხით. ჩვენ ვცდილობთ და ვმუშაობთ, რომ რუსეთმა შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები," - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა. გარდა ამისა, მან საქართველოს შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე შეაჩერა ყურადღება. "ჩვენ ასევე ვიცით, რომ მუშაობა დემოკრატიის განვითარების მხრივ არის გამონევა და მხარს უჭერთ იმ ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადაიდგას ამ ქვეყანაში. ნათელია, რომ აშშ მხარს უჭერს საქართველოს," - აღნიშნა ჰილარი კლინტონმა.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა შეხვედრის დაწყებამდე ჰილარი კლინტონს განუცხადა: "ჩვენთვის დიდი პატივია, რომ დღეს აქ ვიმყოფებით. მადლობას გიხდით იმ მხარდაჭერისთვის, რომელიც ბოლო წლებში გასწიეთ, როგორც სენატში ყოფნისას,

ასევე როგორც სახელმწიფო მდივანმა. ახალი ადმინისტრაციის დროს აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო." სახელმწიფო მდივანთან მოლაპარაკება გუშინ დაწყებული საერთაშორისო სამიტების "კვირეულის" ფარგლებში გაიმართა.

მოლაპარაკებების პარალელურად, ნიუ-იორკში მყოფი სხვადასხვა ქვეყნების ლიდერები გენასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისთვის ემზადებიან. საკუთვრივ გაერო-ს 64-ე გენერალური ასამბლეა კი 16 სექტემბერს გაიხსნა. გენერალური ასამბლეის თავმჯდომარედ, აფრიკის რეგიონული ჯგუფის წინადადებით, ლიბანელი დიპლომატი ალი აბდელ სალამ ატ-ტრეიკი აირჩიეს. 23-დან 30 სექტემბრამდე პოლიტიკური დისკუსია დაგეგმილია. ასამბლეაზე სიტყვით პირველად გამოვა აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა, მანამდე კი ობამას დღეს

უმალესი დონის შეხვედრა აქვს დაგეგმილი. კერძოდ, აშშ-ის, ისრაელისა და პალესტინის ლიდერებს შორის სამშხრივი მოლაპარაკებები გაიმართება. გარდა ამისა, პრეზიდენტი ობამა დღესვე შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევს. ამავე დროს, აშშ-ის პრეზიდენტი იაპონიისა და ჩინეთის ლიდერებთან გეგმავს მოლაპარაკებების გამართვას. საერთაშორისო სამიტების ფარგლებში ბარაკ ობამას და მიხეილ სააკაშვილის პირისპირ შეხვედრა არ არის გათვალისწინებული, თუმცა საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაერო-ში კახა ლომიაშვილმა განუცხადა, რომ "იმ პროგრამაში, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილისთვის არის განერილი, აღნიშნულია ღონისძიება, რომელშიც მიხეილ სააკაშვილთან ერთად, ბარაკ ობამაც მიიღებს მონაწილეობას."

ბაზრძალაბა A3 გვარძაბა

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ერთი წელი

ბრიგოლ ნიკოლეიშვილი

გასულ კვირას მსოფლიო აღნიშნავდა ეკონომიკური კრიზისის წლისთავს.


ანალიტიკოსებისა და ექსპერტების საერთო აზრით, შეერთებული შტატების მთავრობამ შეძლო უაღრესად ეფექტური და ენერგიული მოქმედებებით, არ დაეშვა ფინანსური სისტემის კრაზი, ეკონომიკური დეპრესია და უმუშევრობის მკვეთრი ზრდა. ეს დიდი მიღწევაა, თუ გავითვალისწინებთ შარშანდელი კრიზისის მასშტაბებს, რომელსაც ბევრი ეკონომისტი აღარებდა 1929

წლის კრიზისს. მკითხველს შევახსენებთ, რომ 1929 წლის კრიზისის შედეგი იყო ამერიკის ფინანსური სისტემის სრული გაკოტრება, თითქმის ოთხწლიანი ეკონომიკური დეპრესია და უმუშევრობის უაღრესად მაღალი დონე.

ამასთანვე, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება იმის გარკვევა თუ რა იყო

შარშანდელი კრიზისის მიზეზი და როგორი უნდა იყოს ფინანსური პოლიტიკა, რომ ავიცილოთ მსგავსი ფინანსური კრიზისები მომავალში.

ბაზრძალაბა A4 გვარძაბა



უორენ ბაფეტი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

ჯი ჯი ჯი
გენერალური ჯგუფი

ფსიქოლოგიური და პასიონალი
ალექსანდრე ბაჩია

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

26 სექტემბერი - 18 ოქტომბერი

ტელ.: +995 32 95 43 07
ფაქსი: +995 32 95 40 01
www.tbilisiinternational.ge

ბარაკ ობამა და მისი "მეფეები"

"მეფეებად" ამერიკულ პოლიტიკურ სფეროში იწოდებიან პრეზიდენტის სპეც-ნარმომადგენლები, რომლებსაც თეთრი სახლი ავალეს რომელიმე სფეროს გამგებლობას და რამდენიმე სამთავრობო ორგანოს ქმედებების კოორდინირებას. ესენი არიან პრეზიდენტის განსაკუთრებული მრჩეველების და დესპანები, თეთრი სახლთან არსებული სხვადასხვა საბჭოს თავმჯდომარეები და მინისტრის მოადგილეები, რომლებსაც განსაკუთრებული უფლებამოსილება აქვთ მინისტრებისადმი. ამ გუნდს "ჩრდილოეთი კაბინეტს" უწოდებენ.

მათი მომრავლება მზარდ პროტესტს იწვევს ორივე პარტიის კრიტიკულად განწყობილ წევრებს შორის, თუმცა უფრო რესპუბლიკელები აქტიურები არიან. "მეფე"- არაოფიციალური ტერმინია, სავარაუდოდ ის მოფიქრებულია უფრო ადვოკატების მიერ და თვითმპყრობელობის ასოციაციას იწვევს. კრიტიკოსები სწორედ ამას აკეთებენ აქციების, ობამას ადმინისტრაციის კი სწორედ ამიტომ ცდილობს არ გამოიყენოს ეს ტერმინი. თავად პრეზიდენტმა აღნიშნული ტერმინი აქამდე სულ ორჯერ იხმარა.

ზოგიერთი მათგანს, ისევე როგორც მინისტრებს და მაღალი თანამდებობის პირებს, ამერიკის სენატი ამტკიცებს. თუმცა ბევრი მათ შორის არ გადის არც ამ პროცედურას, არც გამოძიების ფედერალური ბიუროსა და სხვა ორგანოების სტანდარტულ შემოწმებას. ყველაზე მეტად სწორედ ეს ფაქტი იწვევს პროტესტს.

"მეფეების" ინსტიტუტის კანონიკური ისტორია ჯერ არ დაწერილა, თუმცა ცნობილია რომ იგი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე არსებობდა. 1927 წელს, როდესაც მისი იმდენი გარდასახვა დაიწყო და წყალმა წალეკა შვიდი შტატის ვრცელი რაიონები, პრეზიდენტმა

კალვინ კოლიჯმა იმდროინდელი ვაჭრობის მინისტრი ჰერბერტ ჰუვერი დანიშნა სამაშველო სამუშაოების ხელმძღვანელად და მას საგანგებო უფლებამოსილება მიანიჭა. ამ დანიშვნამ ჰუვერი ამერიკელების თვალში აამაღლა და დაეხმარა მას მომავალში პრეზიდენტად არჩევამდე. მისმა შემცველმა ფრანკლინ რუზველტმა დიდი ეკონომიკური კრიზისის წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალური მრჩეველების მთელი ჯგუფი დანიშნა. 1957 წელს, როდესაც ამერიკა შეძრული იყო პირველი საბჭოთა თანაგზავრის გაშვების გამო, დუაიტ ეიზენჰაუერმა ჯეიმს კილიანი დანიშნა "რაკეტების მეფედ." 1989 წელს ნიკსონმა დანიშნა უილიამ ბენეტი "ნარკოტიკების მეფედ." უმცროს ბუშს აგრეთვე რამდენიმე "მეფე" ჰყავდა დაზვერვასა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში.

ახლანდელი ადმინისტრაციის კრიტიკოსები ამბობენ, რომ რამდენიმე ათეული "მეფის" დანიშვნით მან უკვე მოხსნა ყველაწარმოების რეკორდი. მისი შიშით, როდესაც მაკკეინმა აღნიშნა რომ ობამამ ამ მხრივ გაუსწრო რომანოვებს, თეთრი სახლი აპირებდა 20 "მეფის" დანიშვნას. მას შემდეგ მათი რიცხვი გაორმაგდა.

ლიბერალური "ვაშინგტონ პოსტი" წერდა, რომ ჯერ ერთი უმცროს ბუშსაც ჰყავდა ათობით ასეთი რწმუნებული, მეორე, ზოგი ასეთი პოსტი ობამას მეგვიდრეობით გადაეცა და მესამე, რომ "ახალი" ობამას "მეფეების" ნაწილი სენატის მიერ არის დამტკიცებული.

ამასთან, პროტესტი "მეფეების" მომრავლებასთან დაკავშირებით ისმის არა მარტო რესპუბლიკელების, არამედ ლიბერალი დემოკრატების მხრიდანაც. ჯერ კიდევ თებერვალში უზუცესმა დემოკრატმა სენატორმა რობერტ ბერდმა, რომელიც კონგრესის უმაღლეს პალა-



ტაში პირველად არჩეულ იქნა ობამას დაბადებამდე და მას შემდეგ იქ იმყოფება, გაუგზავნა თეთრი სახლს წერილი მოწოდებით, რომ კანდიდატურები "მეფეების" თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარედგინათ სენატისათვის და ამის შემდგომშიც ხშირად გამოეგზავნათ ისინი კონგრესის მოსმენებზე პასუხების გასაცემად. მისი სიტყვებით, ბუშის დროს ისინი აქ იშვიათად ჩნდებოდნენ.

გასულ კვირას, ანალოგიური

წერილი პრეზიდენტის გაუგზავნა რას ფაინგოლდმა, აშშ-ს სენატში ერთ-ერთმა ყველაზე ლიბერალურად განწყობილმა დემოკრატმა. მან თეთრი სახლს მოსთხოვა დეტალური ინფორმაციის გადაცემა კონგრესისათვის პრეზიდენტის სპეცნარმომადგენელთა მზარდი არმიის "ფუნქციებსა და მოვალეობებსზე." ფაინგოლდმა, რომელიც სენატის საკონსტიტუციო ქვეკომიტეტის ხელმძღვანელია, პრეზიდენტის ადმინისტრაციის იურის-

ტებისგან აგრეთვე მოითხოვა განმარტება, თუ რატომ არ მტკიცდება კონგრესში ობამას ბევრი "მეფე" როდესაც, მისი სიტყვებით, კონსტიტუცია ამას მოითხოვს.

ზოგი ოპონენტი მოითხოვს მონაცემებს "მეფეების" ჯამაგირის შესახებ, რომელთა დიდი ნაწილი არ არის გამოქვეყნებული. ცნობილია, რომ ჯოშუა დიუბუა, სპეცნარმომადგენელი "რელიგიის საკითხებში" იღებს 98 ათას დოლარს წელიწადში. კეროლ ბრაუნერს - "პრეზიდენტის თანაშემწეს ენერგეტიკასა და გარემოს დაცვის საკითხებში" დანიშნული აქვს 172.200 დოლარი.

რესპუბლიკელები "მეფეების" მომრავლებაში ხედავენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოწყველად ადგილს და დაუნდობლად აკრიტიკებენ ამ მიმართულებით. ცოტა ხნის წინ ვაშინგტონში ჩატარებული დემონსტრაციის დროს ხალხს ეკავა პლაკატები წარწერით - "მეფეების ადგილი რუსეთში".


თვით პრეზიდენტის მომხრეების აზრით ეს სპეცნარმომადგენლები თანამდებობის პირთათვის დაწესებულ სტანდარტულ შემოწმებას რომ გადიოდნენ, თეთრი სახლი თავიდან აცილებდა ბევრ არასასიამოვნო მოულოდნელობას. მაგალითად მოჰყავთ, ვენ ჯონსი, რომელიც დანიშნული იყო "მწვანეთა სამუშაო ადგილების მეფედ". კონსერვატორებმა "გამოჩხრიკეს", რომ წარსულში ის თავის თავს კომუნისტს და რევოლუციონერს უწოდებდა და პროპაგანდას უწევდა ვერსიას რომ 11 სექტემბრის მოვლენებში ბუშის ხელი ერიო. ამერიკაში, ეს უწინდებურად კარიერისათვის წარუმატებელი სვლაა და ჯონსსაც მიანიშნებს რომ უნდა გადადგარიყო.

"ზი-ბი-სის" მიხედვით მოამზადა თამთა კახაძემ

ყოფილი აბენტის შვილის აღიარება

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყოფილი აგენტის, გაროლდ ნიკოლსონის ვაჟმა ნათანიელ ნიკოლსონმა, გამოძიებასთან სათანამშრომლოდ მზადყოფნა გამოთქვა. ის თანახმაა, ისაუბროს საკუთარი მამის საქმიანობაზე და მის წინააღმდეგ სამართალდამცველებს ჩვენება მისცეს. საქმე ისაა, რომ უმცროს ნიკოლსონს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობისთვის ასამართლებენ. ამავე ბრალდებით გაასამართლეს წლების წინ უფროსი ნიკოლსონიც.

მამა-შვილ ნიკოლსონებს რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში ედებათ ბრალი. "რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა მამამ მაიძულა," - განაცხადა სასამართლო პროცესზე ნათანიელ ნიკოლსონმა. უმცროსმა ნიკოლსონმა გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნა სასჯელის შემსუბუქების მიზნით გადაწყვიტა. სახელმწიფო ბრალმდებლები, როგორც თავად აცხადებენ, თანახმანი არიან, დანაშაულის აღიარების შემთხვევაში გათვალისწინებული ნაკლები სასჯელი მოითხოვონ. არადა, მხოლოდ ფულის გათეთრების ბრალდება, რომელიც ნათანიელ ნიკოლსონისთვის წაყენებულ ბრალდებათაგან ერთ-ერთია, 20-წლიან პატიმრობას ითვალისწინებს.



უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში ბრალდებული მამა-შვილი

გაროლდ ნიკოლსონი რუსეთის სასარგებლოდ შპიონაჟისთვის 1997 წელს გაასამართლეს და 23 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. როგორც გაირკვა, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში მუშაობისას, 16 წლის განმავლობაში, გაროლდ ნიკოლსონი რუსეთის სადაზვერვო სამსახურს რეგულარულად აწვდიდა საიდუმლო ინფორმაციებს ამერიკელი აგენტების თაობაზე.

სხვადასხვა საიდუმლო ინფორმაციის სანაცვლოდ, გაროლდ ნიკოლსონმა რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებისგან 300

ათასი დოლარი მიიღო. როგორც გაზეთი The Oregonian-ი წერს, მოგვიანებით, ციხეში მყოფი გაროლდ ნიკოლსონი, მეტსახელად "ბეტმენი", რუსეთის სპეცსამსახურებისგან ფულს შვილის საშუალებით იღებდა.

შერიდანეს ფედერალურ ციხეში, უმცროსი ნიკოლსონი მამას თითქმის ყოველ ხუთ დღეში ერთხელ ნახულობდა. მამა მას საიდუმლო ჩანაწერებს აძლევდა. უმცროსი ნიკოლსონი ამ ჩანაწერებს რუსეთის სპეცსამსახურებს აწვდიდა. როგორც გაირკვა, ჩანაწერებში გაროლდ ნიკოლსონი მისი გამომყ-




ღაწევისა და დაკავების ფაქტს დეტალურად აღწერდა. ამავე ჩანაწერებით, რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომლებს ის უხსნიდა, თუ რა თქვა დაკითხვების დროს და რა გაიგეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლებმა რუსეთის სპეცსამსახურების შესახებ. უმცროსი ნიკოლსონის აღიარებით, 2006-2008 წლებში, მან რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებისგან, რომლებსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში, მექსიკასა და საბერძნეთში ხვდებოდა, 40 ათასი დოლარი მიიღო.

58 წლის გაროლდ ნიკოლსონი

და მისი 24 წლის ვაჟი ნათანიელ ნიკოლსონი სასამართლოს წინაშე ერთად წარდგებიან და მოხდება მათი დაპირისპირება. შვილის აღიარებით ჩვენების შემდეგ, უფროსი ნიკოლსონს ახალი ბრალდებები წარუდგინეს. სასამართლო პროცესი, რომელზეც ამ ახალი ბრალდებებით გაასამართლებენ, 2010 წლის გაზაფხულზე დაიწყება. ნათანიელ ნიკოლსონი 2009 წლის 29 იანვარს დააკავეს. თანამშრომლობა უცხო ქვეყნის დაზვერვის სამსახურთან და ფულის გათეთრება - ასეთია მისთვის წარდგენილი ბრალდებები.

რევოლუ



"ნუთი ნიუ იორკში" - ასე ჰქვია გამოფენას, რომელიც გაუზინ რომში გაიხსნა და რომელიც 60 ამერიკელ მხატვარს აერთიანებს. ყოველი მათგანის მისია გახლდათ მეზემ "მიკროს" დიდი სივრცე ექვით გარემოდ, რომელიც ასოციალიურად, ამოციურად და ტემპო-რიტმით ნიუ იორკს დაემსავსებოდა. ასეც მოხდა, გალერეაში ყველაფერი დულს, ციმციმებს, მოძრაობს, ჭრელდება... მეგაპოლისის მხატვრულ ენაზე გადატანილი დინამიკა ფოტოზე შესამჩნევია. შემოდგომა მსოფლიოს დიდი და პატარა ქალაქების გამოფენებისა და ბიენალეების ხანად იქცა. თუმცა "ნუთი ნიუ იორკში" ევროპისთვის ჯერ მაინც მხოლოდ უვერტიურაა.

AFP © 2009

ბაბრაზიბული უმბერტო ეკო კომპიუტერის წინააღმდეგ

ცნობილმა მწერალმა და ფილოსოფოსმა უმბერტო ეკომ "გარდინში" გამოაქვეყნა ესეე სათაურით "წერის ხელოვნების გაქრობის შესახებ" და აქვე გეტყვით იმასაც, რომ ესეე ეძღვნება ყველას, ვინც იტალიელი სკოლის მოსწავლეების მსგავსად ხელით წერას გადაეჩვია და ეს საქმე უკვე ეძნელება კიდევ.

მწერალი ეხმარება გამოკვლევას, რომლის თანახმადაც იტალიელი მოზარდების ძალიან დიდ უმრავლესობას წერა არ სურს და აღარ შეუძლია და უპირატესობას ტექსტის კომპიუტერზე აკრეფადაბეჭდვას ანიჭებს. "ვარდის სახელის" ავტორის აზრით, ხელით წერის ხელოვნების წინააღმდეგ დიდი კამპანია მანამდე დაიწყოს, სანამ მის აღმატებულება კომპიუტერს გამოიგონებდნენ და ეს მომხდარა მაშინ, როცა ბურთულიანი კალმისტარი გამოიგონეს ადამიანებმა. მისი თქმით, სწორედ მაშინ



მოკვდა ხელნაწერების "სული, სტილი და თავისთავადობა". მელნითა და კალმით ნაწერი, მწერლის აზრით, მოითხოვდა ენერჯიას, დაკვირვებას, აუჩქარებლობას... "არა მხოლოდ ბავშვები, უფროსებიც კი, სანამ მელნისა და ქალაქის კომფლიქტს აგვარებდნენ, ბევრად მეტს ფიქრობდნენ იმაზე, თუ რას წერდნენ, რისი დაწერა სურდათ, რისი დაწერა ღირდა და რისიც არა. ამას გარდა სუფთად წერა ადამიანისგან მოითხოვს ძლიერ ხელს და თვალისა და ხელის მშვენიერ კორდინაციას."

საბოლოოდ უმბერტო ეკო წერილს მოწოდებით ასრულებს. მოუნოდებს მშობლებს, რათა თავიანთი შვილები მოსწვევითონ კლავიატურას და მიაბარონ კალიგრაფისტებს. როგორც ეკო აღნიშნავს, ეს მათი შვილების ფსიქოლოგიურ მდგომარეობასაც სასიკეთოდ წაადგება.

მის საქართველო 2009 MISS GEORGIA



Miss World



MISS UNIVERSE



Way of Life!



იმიჯ-ცენტრი იწვევს 17-25 წლამდე ასაკის გოგონებს მის საქართველო 2009 -ში მონაწილეობის მისაღებად.

გახდი მის საქართველო!

მოიგე მთავარი პრიზი ახალი ავტომობილი სუზუკი სელერიო და გაემგზავრეთ სილაგაზის საერთაშორისო კონკურსებზე.

მის საქართველო 2009, ფინალური შოუ, გათუმი 11 ოქტომბერი

დასწრების მსურველები დაგვიკავშირდით:

თბილისი ნიკო ნიკოლაძის №6, ტელ.: 98 51 48, 20 00 20, 855 95 90 25

www.missgeorgia.ge

www.imagecentre.ge



გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი აცხადებს კონკურსს შემდეგ სპეციალობებზე:

- გინეკოლოგი
- ენდოკრინოლოგი
- ბავშვთა ენდოკრინოლოგი
- ბავშვთა ორთოპედ-ტრავმატოლოგი
- ბავშვთა ნევროლოგი
- მამოგრაფიის სპეციალისტი
- ნეფროლოგი
- უროლოგი
- დერმატოლოგი
- კარდიოლოგი
- ოფთალმოლოგი
- რევმატოლოგი

მოთხოვნები:

- სახელმწიფო სერთიფიკატი შესაბამის სამედიცინო საქმიანობაში;
 - პროფესიული მუშაობის გამოცდილება, სამუშაო სტაჟი 5 წ.
- საკონკურსო განაცხადის შემოტანის ვადა 2009 წლის 1 ოქტომბრამდე
მისამართი: ქ. თბილისი, თენგიზ აბულაძის ქ N20
ტელ: 91 31 19;
91 32 42

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8

ფილიალით და ერთი მოქრაპი

საოპერაციო ბლოკით

SLT- ლაზერი

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული

ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80



GEONET

შანი ადგილი ინტერნეტში

www.myhost.ge

3 თვე უფასო ჰოსტიინგი

☎ 470000

✉ info@myhost.ge

უფასო

ბეტონშემრევი: BMC PRO 935 FTE 8X4

მიწოდების ვადა
1 დღე

BMC

ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი
მწარმოებელი: BMC
მოდელი: BMC PRO 935 FTE
მოცულობა: 10 მ.3
ძრავი: Cummins C 350-20
(Euro2) Turbo Intercooler
სიმძლავრე: 350 ცხ.ძ.
გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S
ბეტონშემრევი დანადგარი:
LIEBHERR
გარანტია: 1 წელი
მიწოდების ვადა: 1 დღე



ქ. თბილისი, ლ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
☎ 24-47-44, ☎ 24-47-44 (1219)

TEGETA TRUCK & BUS LTD

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს განმეორებით ონის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში მყოფი ავომანქანების: "მიცუბიში პაჯერო", თმ-554, ვაზ 21213 და "მერსედეს ბენცი 22 ", პრივატიზების მიზნით

№	დასახელება	გამოშვების წელი	საწიქის გასაყიდი ფასი(დოლარი)	"ბიჯი" (დოლარი)	"ბე" (დოლარი)
1	"მიცუბიში პაჯერო",	1993	3438	100	343
2	"ვაზ 21213"	1999	720	50	72
3	"მერსედეს ბენცი 22DE"	1992	2161	100	216

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:
აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს ან ამ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.
აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ დასახელებული საბოლოო გამოსასყიდი თანხა.
აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი ვალდებულია აუქციონის რეგისტრატორს წარმოუდგინოს:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი.
2. "ბეს" გადახდის დამადასტურებელი საბანკო ჩეითარი.
3. აუქციონში მონაწილეობის ბიდეის ფასის (5ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბანკო ჩეითარი.
4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსერო ასლი.
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლებს (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ბოლო მდგომარეობით)
6. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონი ჩატარდება ინფორმაციის გაზეთში გამოქვეყნებიდან 30-ე კალენდარულ დღეს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწიქის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

აუქციონის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურს მისამართზე: ქ. ონი, ლ. აღმაშენებლის მოედანი №1.

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახური.

ბანცხაღება

შპს "საქცემენტი" აცხადებს, რომ მომზადებულია მისი დაქვემდებარების საწარმო ობიექტის - რუსთავის ცემენტის ქარხნის საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას შემდეგ მისამართზე - ქ. რუსთავი, მშენებელთა ქუჩა N70ა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტში (გულუას ქ. N6).

საჯარო განხილვა მოეწყობა: ქ. რუსთავი, მშენებელთა ქუჩა N70ა, 2009 წლის 16 ნოემბერს, 1400 საათზე.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები ჩააბაროთ შპს "საქცემენტი"-ს ადმინისტრაციას, შემდეგ მისამართზე:

შპს "საქცემენტი"
ქ. თბილისი, მელიქიშვილის ქ. N16

იყიდება!

მომხადი მრავალფრაქციული "ღრაპილკა",
ლიცენზირებული კარიერით
80 000 კვ. მ-ზე
ტაქანიკასთან ერთად:

- ექსკავატორი "3322 (ობობა),
- მტვირთავი "T0-30",
- თვითმცლელი ა/მ "მაზი",
- ბულდოზერი "C/130"

ფასი შეთანხმებით

საკონტაქტო ტელეფონი:
897 56 20 60

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის

მერია 2009 წლის 21 ოქტომბერს ატარებს აუქციონს

აუქციონზე გამოტანილი იქნება თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები, მასზე დამატებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით:

- უძრავი ქონების მახასიათებლებია:
 1. არასაცხოვრებელი ფართი ზონა @N02, სექტორი N04, კვარტალი N02, ნაკვეთის N177 მისამართი: ქ. რუსთავი, მე-გობრობის გამზ. II გასავლელი N3ა შენობა-ნაგებობა საერთო ფართით: 318.69 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობი-178.16 კვ.მ. საწყისი საპრივატიზაციო ფასი -35 000 (ოცდახუთმეტი ათასი) ლარი, "ბე" - 14 000 (თოთხმეტი ათასი) ლარი "ბიჯი" 1000 (ათასი) ლარი.
 - უძრავი ქონების მახასიათებლებია:
 2. არასაცხოვრებელი ფართი ზონა @N02, სექტორი N04, კვარტალი N02, ნაკვეთის N053 მისამართი: ქ. რუსთავი, მე-გობრობის გამზ. I გასავლელი N3 შენობა-ნაგებობა საერთო ფართით: 384.59 კვ.მ. საწყისი საპრივატიზაციო ფასი -40 000 (ორმოცი ათასი) ლარი, "ბე" - 16 000 (თექვსმეტი ათასი) ლარი "ბიჯი" 1000 (ათასი) ლარი.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (თვითმ-

მართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი N20) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე, აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
 - ბ) "ბე"-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
 - ს.ს. "საქართველოს ბანკი" რუსთავის ფილიალი
 - საიდენტიფიკაციო კოდი 220101502
 - ა.ნ. 266897601 (მიეთითოს გადასახადის დანიშნულება).
 - გ) მონაწილის ბილეთის ფასის - 50 ლარის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
 - 220101222
 - სახელმწიფო ხაზინა 200122900
 - ერთიანი ანგარიში
 - სხვა შემოსულობები (რუსთავი)
 - სახაზინო კოდი 300063282
 - (სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)
 - დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
 - ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
 - ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)
- აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე "ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი N20 ტელ: (824) 12 12 66

შპს „საქართველოს ფოსტა“ განმეორებით აცხადებს ღ ი ა ა უ ქ ც ი ო ნ ს

საფოსტო განყოფილებებში თავისუფალი ფართების იჯარით გაცემის მიზნით

№	გასაიჯარებელი ფართები	კვ.მ.	საწყისი საიჯარო ფასი დღე-ს გარეშე (1 კვ.მ-ზე)	ბიჯი დღე-ს გარეშე (1 კვ.მ-ზე)
1	ფილიალ მარნეულის ფოსტის ადმ. შენობა I სართ.	94.22	4	0.5
2	ფილიალ თბილისის ფოსტამტის ადმინისტრაციული შენობა შესასვლელი ჭოროხის მხრიდან	60	4,5	0.5

ღია აუქციონში მონაწილე პირთა მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციათა ნუსხა:

- განცხადება, რომელშიც სავალდებულოა აისახოს იჯარით გასაცემი ქონების დასახელება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები, ინდ.მეწარმე დამატებით წარმოსადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.
- საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი წარმოსადგენს: ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან, ან შესაბამისად იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრიდან, წესდების ასლს, წარმოსადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლს.
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ პირი წარმოსადგენილია სხვა პირის მიერ.
- მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 10 ლარის ოდენობით
- გადახდის ქვითარი (გამოცხადებული ყოველთვიური იჯარის თანხის 10%-ს პრეტენდენტი იხდის ბე-ს სახით ბილეთის საფასურთან ერთად ფოსტის სალაროში, ან საბანკო დაწესებულებაში, მითითებულ ანგარიშზე).

დამატებითი პირობები:

- აუქციონი ტარდება ღია წესით და გამარჯვებული გამოვლინდება იმავე დღეს.
- სავალდებულოა პრეტენდენტის ან მისი წარმომადგენლის დასწრება აუქციონზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ბეს და ბილეთის თანხა უკან არ დაბრუნდება.
- აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური იჯარის თანხა ფასის განცხადება;
- აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში გააფორმოს საიჯარო ხელშეკრულება.
- ხელშეკრულების ფორმდება 3 (სამი) წლამდე ვადით;
- ყოველთვიური საიჯარო თანხას გამარჯვებული პრეტენდენტი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შპს „საქართველოს ფოსტის“ მითითებულ ანგარიშზე.
- მოიჯარე ვალდებულია საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციის (რეალიზაციის) შემთხვევაში შეწყვიტოს საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციამდე (რეალიზაციამდე) საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები) ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმების გადახდის გარეშე, რაც ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის სააუქციონო და სახელშეკრულებო პირობებშია.

განაცხადების მიღების ადგილი: თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, შპს „საქართველოს ფოსტის“ ადმინისტრაცია. განაცხადების მიღების ვადაა 2009 წლის 22 სექტემბრიდან 2009 წლის 6 ოქტომბრის ჩათვლით 10.00 სთ.-დან 16.00 სთ.-მდე (შაბათ-კვირის გარდა). ღია აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი: 2009 წლის 6 ოქტომბერი 17:00 სთ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, შპს „საქართველოს ფოსტის“ ადმინისტრაცია. საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი 123286800. ბანკის კოდი 220101502. ს.კ 203836233

საკონტაქტო ტელეფონი: 340735.

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" საქართველოს პრეზიდენტის ნაციონალური მეგობროგრამა "იაკობ გოგებაშვილი-საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" დაფინანსების ფარგლებში საქართველოს საჯარო სკოლების ინვენტარით უზრუნველყოფის მიზნით ერთ ლოტად აცხადებს საერთაშორისო ტენდერს 3 000 ცალი სასკოლო დაფის სახელმწიფო შესყიდვაზე 2009 წლის 15 სექტემბერს გაზეთში "24 საათი" N199 გამოქვეყნებული განცხადების მე-4 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღე"

სატენდერო კომისიის აპარატი

ქ. თბილისის N44

საჯარო სკოლა

აცხადებს ტენდერს

30,0282 საბუფატი

6მ² და

1082 ცალ-ცალკე

მდებარე ფართების

ბასაქირაპეზალად.

ტელ: 899922738;

998770.

ქ. თბილისში, წინანდლის ქ. N9 მდებარე შპს "კარდიოლოგიური კლინიკა" აცხადებს კონკურსს საზოგადოების ბალანსზე რიცხულ შენობაში 45 კვ. მ ფართზე.

ობიექტის იჯარით გაცემის საკონკურსო პირობებია თანამედროვე კორონაროანგიოგრაფის დამონტაჟება გასაიჯარებელ ფართზე შესაბამისი სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ.

ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 1 კვ. მ-ზე 5 ლარით.

კონკურსი გაიმართება წინანდლის ქ. 9 "კარდიოლოგიური კლინიკის" შენობაში 2009 წ. 6 ოქტომბერს, 15 საათზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის საკონტაქტო ტელეფონი: 748047

საქართველოს მკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

ა/წ 21 აგვისტოს გაზეთ „24 საათში“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ“. აუქციონში გამომცხადებელი ობიექტებიდან №5 და №8 სალიცენზიო ობიექტებზე სამინისტროში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტებზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამოცხადებულად. შემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაკვეყნებთ №7 და №8 სალიცენზიო ობიექტებზე აუქციონის გამომცხადების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით

Table with 9 columns: Object No., Location, License Type, Category, License Term, Deposit, Auction Start, Bidder Fee, and Deposit Amount. Rows include details for objects 5 and 8, and general auction rules.

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს მიერ „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების ინფრასტრუქტურის განვითარების“ და საქართველოს პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „იაკობ გოგებაშვილი-საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“ პროგრამების დაფინანსების ფარგლებში საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე 2009 წლის 07 სექტემბერს გაზეთში „24 საათი“ N193 გამოქვეყნებულ განცხადებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

- ლოტი N11 ქ. თბილისის N159 საჯარო სკოლის შენობის გაძლიერების სამუშაოები;
ლოტი N12 თბილისის N195 საჯარო სკოლის შენობის გაძლიერების სამუშაოები;
ლოტი N13 თბილისის N29 საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
ლოტი N14 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ოფისის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
ლოტი N15 ლენტეხის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ოფისის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
ლოტი N16 ვანის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ოფისის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
ლოტი N17 თიანეთის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ოფისის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
2. განცხადების მე-2 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მინოდების სავალდებულო ვადაა N1, N2, N3, N4, N5, N6, N9, N12, N13, N14, N15, N16 და N17 ლოტებზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 70 კალენდარული დღე, ხოლო N7, N8, N10, N11, ლოტებზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 75 კალენდარული დღე“;
სატენდერო კომისიის აპარატი

საქართველოს პარლამენტის აპარატის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

- 1. საქართველოს პარლამენტის აპარატი აცხადებს ტენდერს პარლამენტის სასახლის „C“ კორპუსის კიბის უჯრედებში ამორტიზებული ვიტრაჟების (ოთხკამერიანი ხისფაქტურიანი მეტალოპლასტმასის მასალა, სულ - 286 კვ.მ.) მოწოდება-შეცვლის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და მონაწილეობის მისაღებად ინვესს ყველა დაინტერესებულ პირს.
2. ტენდერში გამარჯვებულმა შესყიდვის ობიექტის მოწოდება უნდა უზრუნველყოს მიმდინარე წლის 8 დეკემბრამდე შემსყიდველთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.
3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ერთი დახურული კონვერტი) სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2009 წლის 13 ოქტომბრის 09:00 საათიდან 13 ოქტომბრის 13:00 საათამდე. კონვერტები გაიხსნება 13 ოქტომბრის 13:00 საათზე. მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის N8, საქართველოს პარლამენტი, ტელ: 28-13-69 ან 28-15-63.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
4.1. იურიდიულ პირთათვის:
ა) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;
ბ) ცნობა, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;
გ) ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;
დ) ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან.
4.2. ფიზიკურ პირთათვის:
ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დანესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;

- გ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.
5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ, დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
6. სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისთვის საბანკო გარანტია წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
7. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახითა და ოდენობით: საბანკო გარანტია სატენდერო თანხის 3%-ის ოდენობით.
8. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებზე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (სახელმწიფო ხაზინა კოდი 220101222, მიმღების ანგარიში 200122900, სახაზინო კოდი 302004100, საგადასახადო დავალებში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული „საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ ჩასატარებელი ტენდერის მოსაკრებელი“) 2009 წლის 22 სექტემბრის 10:00 საათიდან 12 ოქტომბრის 18:00 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის N8. საქართველოს პარლამენტი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.
9. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
10. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.
11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს პარლამენტში, მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის N8, ტელ: 28-13-69 ან 28-15-63 ივანე სულხანიშვილი.
საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისია

ბანკური ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1.						
2.						
3.						
.						
.						

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მიუთითონ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სატენდერო მოსაკრებელი, კონკრეტული შესყიდვის დასახელებით და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე, ქ. თბილისი კახეთის გზატკეცილი №38 (შესყიდვის ორგანიზების ქვითარით), რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 10:00 – 18:00 საათამდე ყოველ დღე 2009 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით უკმა დღეების გარდა.

2. შესყიდვის ობიექტი:

- საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიური შემოწმების სამსახურის პირველი ქვეგანყოფილების შენობის სამშენებლო სამუშაოები (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიმდებარე ტერიტორია).

3. სამშენებლო სამუშაოების ვადები შემოთავაზებულ უნდა იყოს პრეტენდენტის მიერ, აღნიშნული ვადები გათვალისწინებული იქნება შეფასების დროს.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ვაჭმულად ერთი დასაწყისი კონვერტით (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 12 ოქტომბერს 15:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი კახეთის გზატკეცილი №38. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი. საკვალიფიკაციო მონაცემის კონვერტების გახსნა განხორციელდება 2009 წლის 12 ოქტომბერს 15:00 საათზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- იურიდიული პირებისთვის:**
 - ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, ქონებაზე ვადადის არ არსებობის შესახებ; (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)
 - ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)
 - გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)
 - დ) ცნობა სასამართლოდან, მასზე რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)
- ფიზიკური პირებისთვის:**
 - ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)
 - ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)
 - გ) ცნობა მისი ქმედუნარიანობის შესახებ (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მოქმედების ვადა არა უმეტეს 20 სამუშაო დღისა)

- როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის:**
 - ა) სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
 - ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
 - გ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური სამშენებლო სამუშაოების შესახებ; ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. (ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას სარეკონსტრუქციო წერილები აღნიშნული ორგანიზაციებიდან სადაც განხორციელდა ანალოგიური პროექტები,

შენიშვნა: შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოდგენილი უნა იქნეს აღნიშნული პროექტების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებები.
დ) ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად

№	მოწყობილობა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახშირი, მოძველებული)	საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შექმნილ იქნება (ვისგან)
1.					
2.					
3.					
.					
.					

- შენიშვნა:**
- შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოდგენილი უნა იქნეს მოწყობილობა-მექანიზმების პასპორტები და/ან ქირავნობის დამადასტურებელი დოკუმენტები.
 - ზემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დახუსტებას არ ექვემდებარება.

6. პრეტენდენტები ვერ გაიფიქრან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

8. სავალდებულოა წარმოდგენილი იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით.

9. პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

10. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.

11. პრეტენდენტებს შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, ზემოთ მითითებულ მისამართზე.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: გიორგი მაღლაკელიძე ტელ: 41 87 13, სოსო კოპალიანი 877 77 36 09

სატენდერო კომისია

სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმი" აცხადებს აუქციონს უძრავი ქონების გასხვისების მიზნით

აუქციონზე გამოტანილი იქნება:

1. კულაშის კინოთეატრი - მიწის ფართობი - 525 კვ.მ მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობით. სანაწიის სარეალიზაციო ფასი 17 000 (ჩვიდმეტი ათასი) ლარი, "ბე" სანაწიის სარეალიზაციო ფასის 20%, ბიჯი 1 200 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო სარეალიზაციო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია:

- ა) მაქსიმალური გასაყიდი ფასის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ სანაწიის გასაყიდი ფასს.
- აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
 - ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ სს "ქართულ ფილმში").

- ბ) სს "ქართული ფილმის" საანგარიშსწორებო ანგარიშზე "ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები;
- გ) პირადობის დამადასტურებელი მონაწილის (პასპორტის) ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
- დ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ნოტარიალურად დამტკიცებული ასლები და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედი ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

განაცხადები მიიღების ადგილია ქ. თბილისი, ახმეტელის ქ. N 10ა, სს "ქართული ფილმი" მე-2 სართული, მე-3 ოთახი. ტელ: 52-09-13; 43-30-30-136..

განაცხადის მიღების ვადა 22 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით 12 საათიდან 15 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).

აუქციონის ჩატარების თარიღი 5 ოქტომბერი, 15.30 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: TBC ბანკი, მარჯანიშვილის ფილიალი, ა/ა 360800208, კოდი 220101850, საიდენტიფიკაციო კოდი 202054196.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია სანაწიის გასაყიდი ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური თანხის გადახდა.

ობიექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სს "ქართულ ფილმში".

სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმი"

საქართველოს კონტროლის პალატის ბანკსადასა მრავალწლიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს კონტროლის პალატა აცხადებს მრავალწლიანი ტენდერს ქ. ქუთაისში მდებარე კონტროლის პალატის ადმინისტრაციული შენობისათვის გარე ფასადის სარეკონსტრუქციო სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ინვესს ყველა დაინტერესებულ პირს.
2. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.
3. შესყიდვის საგანი:
ქ. ქუთაისში მდებარე კონტროლის პალატის ადმინისტრაციული შენობისათვის გარე ფასადის სარეკონსტრუქციო სარემონტო სამუშაოების შესყიდვა.

4. გარე ფასადის სარეკონსტრუქციო სარემონტო სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს 2009 წლის 20 ოქტომბრიდან 2010 წლის 01 აპრილამდე.
5. მიწოდების ადგილი: ქ. ქუთაისი, საქართველოს კონტროლის პალატა მის: ი. აბაშიძის N22.

6. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დახურული კონვერტი) სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2009 წლის 12 ოქტომბერს 16 საათამდე ორ ეგზემპლარად (ერთი - ორიგინალი, ერთი - ასლი), შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N96, საქართველოს კონტროლის პალატა. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 12 ოქტომბერს 17 საათზე.

ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწონ სატენდერო წინადადების გახსნას.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

7.1. იურიდიულ პირთათვის:

- ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;
- გ) ცნობა შსს-დან ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნასამართლეობის არარსებობის შესახებ.
- დ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
- ე) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
- ვ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.
- ზ) ცნობა საბანკო ანგარიშის (ანგარიშების) და შესაბამისი რეკვიზიტების შესახებ - მომსახურე ბანკიდან.
- თ) ცნობა საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ - მომსახურე ბანკიდან.
- ი)წარმოდგენილი უნდა იქნეს ასევე სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემები.
- კ)ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების მიმწოდებლების რეესტრში.

7.2. ფიზიკურ პირთათვის:

- ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ბ) ცნობა შსს-დან მისი ნასამართლეობის არარსებობის შესახებ.
- გ)ცნობა საგადასახადო ორგანოდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
- დ)ცნობა საბანკო ანგარიშის (ანგარიშების) და შესაბამისი რეკვიზიტების შესახებ - მომსახურე ბანკიდან.
- ე)ცნობა საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ - მომსახურე ბანკიდან.

კიდან.
ე)წარმოდგენილი უნდა იქნეს ასევე სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემები.
ზ)ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების მიმწოდებლების რეესტრში.

8. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დამატებით დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

- ა) სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (ქართულ ენაზე) მთლიანი წარმოდგენილი თანხის 1%-ის ოდენობით და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას, ხოლო სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება 40 დღით;
- ბ) მომსახურების დეტალური ხარჯთაღრიცხვა;
- გ) შესასრულებელი სამუშაოს გეგმა-გრაფიკი;
- დ) ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების შესახებ;
- ე) საგარანტიო პირობები და ვადები;
- ვ) ინფორმაცია სანარმოს გამოცდილების შესახებ, განხორციელებული ანალოგიური მომსახურების განხორციელების შესახებ, ხელშეკრულებების ჯამური ღირებულების ჩვენებით და წლების მიხედვით, სასურველი სარეკომენდაციო წერილების წარმოდგენა;
- ზ) გამოსაყენებელი მასალის ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

9. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება პრეტენდენტს.

10. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-7 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

11. ხელშეკრულების გაფორმებისას გამარჯვებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით).

12. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია:

სახელმწიფო ხაზინა 220101222, სახაზინო კოდი - 302004700, ანგარიშის N200122900
გადახდის დანიშნულებაში მიუთითეთ: საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო მოსაკრებელი.

13. დაინტერესებულ პირებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო მოსაკრებელი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N96, ოთახი N201, რის შემდეგაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 9 ოქტომბრის 18 საათამდე.

14. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა.

15. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

16. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს კონტროლის პალატაში, მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N96, ტელ: 78 81 46.

საქართველოს კონტროლის პალატის
სატენდერო კომისია

საქართველოს პარლამენტის აპარატის ბანკსადასა ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს პარლამენტის აპარატი აცხადებს ტენდერს პარლამენტის სასახლის "C" კორპუსის აივნებსა და ფოიეებში ხელოვნური გრანიტის ფილების (1565 კვ.მ.) მოწოდება-მოწყობის და ვერანდებზე არსებული ფილების მეთლახის საფარის (130 კვ.მ) სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და მონაწილეობის მისაღებად ინვესს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ტენდერში გამარჯვებულმა შესყიდვის ობიექტის მოწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **არაუგვიანეს** ასი დღის განმავლობაში შემსყიდველთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ერთი დახურული კონვერტი) სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2009 წლის 12 ოქტომბრის 09:00 საათიდან 12 ოქტომბრის 15:00 საათამდე. კონვერტები გაიხსნება 12 ოქტომბრის 15:00 საათზე. მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის N8, საქართველოს პარლამენტი, ტელ: 28-13-69 ან 28-15-63.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
4.1. იურიდიულ პირთათვის:

- ა) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;
 - ბ) ცნობა, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;
 - გ) ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;
 - დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
- 4.2. ფიზიკურ პირთათვის:
- ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
 - ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;
 - გ) ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ, დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას,

ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისთვის საბანკო გარანტია წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

7. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახითა და ოდენობით: საბანკო გარანტია სატენდერო თანხის 3%-ის ოდენობით.

8. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებზე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (სახელმწიფო ხაზინა კოდი 220101222, მიმღების ანგარიში 200122900, სახაზინო კოდი 302004100, საგადასახადო დავალებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული "საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ ჩასატარებელი ტენდერის მოსაკრებელი") 2009 წლის 22 სექტემბრის 10:00 საათიდან 11 ოქტომბრის 18:00 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის N8. საქართველოს პარლამენტი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

9. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

10. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს პარლამენტში, მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის N8, ტელ: 28-13-69 ან 28-15-63 ივანე სულხანიშვილი.

საქართველოს პარლამენტის აპარატის
სატენდერო კომისია

საქართველოს პარლამენტის აპარატის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს პარლამენტის აპარატი აცხადებს ტენდერს პარლამენტის სასახლის "C" კორპუსის კიბის უჯრედებსა და მიმდებარე ფოიეებში სარემონტო სამღებრო სამუშაოების (სამღებრო სამუშაოები - 7000 კვ.მ., პარკეტის იატაკის სამუშაოები - 200 კვ.მ.) სახელმწიფო შესყიდვაზე და მონაწილეობის მისაღებად ინვესსიას ყველა დაინტერესებულ პირს.
2. ტენდერში გამარჯვებულმა შესყიდვის ობიექტის მონოდედა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ან არაუგვიანეს ასოციათი დღის განმავლობაში შემსყიდველთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.
3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ერთი დახურული კონვერტი) სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2009 წლის 13 ოქტომბრის 09:00 საათიდან 13 ოქტომბრის 15:00 საათამდე. კონვერტები გაიხსნება 13 ოქტომბრის 15:00 საათზე. მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის N8, საქართველოს პარლამენტი, ტელ: 28-13-69 ან 28-15-63.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - 4.1. იურიდიულ პირთათვის:
 - ა) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;
 - ბ) ცნობა, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;
 - გ) ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;
 - დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
 - 4.2. ფიზიკურ პირთათვის:
 - ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
 - ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;
 - გ) ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.
5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ, დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისთვის საბანკო გარანტია წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
7. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახითა და ოდენობით: საბანკო გარანტია სატენდერო თანხის 3%-ის ოდენობით.
